-ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში

(აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებიოს?)

-ებ სუფიქსიან ზმნებს დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ორგვარად აქვთ წაწარმოები. ზოგი ზმნა თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში აწმყოს ფუძეს იყენებს (**-ებ** სუფიქსი გადაჰყვებათ), ზოგი ზმნა კი დრო-კილოთა მეორე სერიის ფუძეს (**-ებ** სუფიქსი ამ დრო-კილოებში არა გვაქვს). ერთი მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აშენებს — **უშენებია** და ა. შ., აკეთებს — **უკეთებია** და ა. შ., ალაგებს — **ულაგებია**, აქეზებს — **უქეზებია** და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აქებს — **უქია** და ა. შ., აგებს — **უგია**, აგდებს — **უგდია**, ავსებს — **უვსია** და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როცა III ჯგუფის წარმოება აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში სადავო ფორმები ჩნდება. ბადებს — **დაუბადებია**, მაგრამ გვხვდება **დაებადა** და **დაებადოს** **დაებადებინას** და **დაებადებინოს** პარალელურად; **უბრძანებია**, მაგრამ გვხვდება **ებრძანა** და **ებრძანოს** **ებრძანებინას** და **ებრძანებინოს** პარალელურად და ა. შ. ზოგჯერ ასეთი მოვლენა თურმეობით პირველშიც იჩენს თავს: **დაუბადებია** და **დაუბადია** („რაც კი რამ დ ა უ ბ ა დ ი ა, უფალს სულიერ-უსულო, სულყველას თურმე ენა აქვს.“ — **ვაჟა**).

დრო-კილოთა II ჯგუფის ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითისა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დიალექტიზმებად უნდა იქნეს მიჩნეული. სალიტერატურო ენაში გაბატონებულია აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები. ამიტომ უნდა იხმარებოდეს:

აეშენებინა და **აეშენებინოს** და არა **აეშენა** და **აეშენოს**; **დაებადებინა** და **დაებადებინოს** და არა **დაებადა** და **დაებადოს**; **გაეკეთებინა** და **გაეკეთებინოს** და არა **გაეკეთა** და **გაეკეთოს**; **დაეშავებინა** და **დაეშავებინოს** და არა **დაეშავა** და **დაეშავოს** და ა. შ.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გვხვდება პარალელური ფორმები: **აეშენებინა**—**აეშენებია**, **აეშენებინოს**—**აეშენებიოს**; **დაებადებინა**—**დაებადებია**, **დაებადებინოს**—**დაებადებიოს**; **გაეკეთებინა** — **გაეკეთებია**, **გაეკეთებინოს** — **გაეკეთებიოს**; **დაეშავებინა** — **დაეშავებია**, **დაეშავებინოს** — **დაეშავებიოს**.

ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია ნარიანი ფორმები და ესენი უნდა იქნენ მიჩნეული ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად.

ამგვარად:

სალიტერატურო ფორმებია:	უკუსაგდებია:
აეშენებინა	**აეშენებია**
აეშენებინოს	**აეშენებიოს**
დაებადებინა	**დაებადებია**
დაებადებინოს	**დაებადებიოს**

გაეკეთებინა	გაეკეთებია
გაეკეთებინოს	გაეკეთებიოს
დაეშავებინა	დაეშავებია
დაეშავებინოს და სხვ.	დაეშავებიოს და სხვ.

ეს წესი გავრცელდება კაუზატივებზედაც, გვექნება:

დაეწერინებინა	და არა	დაეწერინებია
დაეწერინებინოს		დაეწერინებიოს
აეშენებინებინა		აეშენებინებია
აეშენებინებინოს		აეშენებინებიოს
დაეხატვინებინა		დაეხატვინებია
დაეხატვინებინოს		დაეხატვინებიოს